



ეროვნული თავისუფლების ბრძოლა - პიროვნული თავისუფლებისათვის
პიროვნული თავისუფლების ბრძოლა - ეროვნული თავისუფლებისათვის

საქართველო

საბარტეველი
ეროვნული
კულტურის
ცენტრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორგაბათობით და ხუთგაბათობით №61 (1499) 21-25 ნოემბერი, 1996 წელი

სასწაულმოქმედი პარლამენტი

ჯანდარელი
სასწაულმოქმედის
ბარდა,
„უბიწოდ“ რომ
უსახავს
შვილებს
დედებს, მეორე
16 წლის
აზერბაიჯანელი
ეროვნების
ბარდაბნელი
გოგონაც
გამოჩნდა,
რომლის
საშუბარმაც ჩვენ
გაბვაობნა.
წაიკითხეთ და
თქვენც
გაობნდებით!

მე ვხედავ, საბანა ქვემოდან,
იატაკიდან ამოდის. მას საყურა,
ბეჭედი და ქეჩკვი უკეთია. ის
წითელია, უთმო, გრძელი
ყურებით



„დახვრიტეთ, ჩემო მოძვენო!“

ლოთი ქობალია
ქობალიას განაჩენი - დახვრება
საბოლოოა თუ არა, ისინი
მხოლოდ შევარდნაძემ

მე-3 გვ



У НАС
ЕСТЬ
ПРИКАЗ

ქობალიას განაჩენი - დახვრება საბოლოოა თუ არა, იცის მხოლოდ შავარდნაძემ

19 ნოემბერს დასრულდა ვახტანგ (ლოთი) ქობალიას, ნუგზარ მოლოდინაშვილის, ჯამბუღ ბოკუჩავას და ზვიად ძიძიგურის სასამართლო პროცესი. ვახტანგ (ლოთი) ქობალია ცნობილ იქნა დამნაშავედ და როგორც სამშობლოს მოძალატეს, საზოგადოებისათვის საშიშ პირს და მკვლელს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრება, ზვიად ძიძიგურის - 13 წლით, ჯამბუღ ბოკუჩავას - 15 წლით, ნუგზარ მოლოდინაშვილს - 7 წლით - თავისუფლების აღკვეთა.

პროცესის შემდგომ სასამართლოს შენობასთან შეკრებილთა და პოლიციელთა შორის მოხდა „მცირედენი გაუგებრობა“, რის შედეგადაც დაკავებულითა შორის პრესისა და ტელევიზიის ჟურნალისტებიც აღმოჩნდნენ. ყოველივე ამის გამო გუშინ რესპუბლიკის პროკურატურაში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ: გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი, მოადგილე ანზორ ბალაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ემზარ საბანაძე, სამმართველოს უფროსის მოადგილე ანზორ ხვადაგანი, პროკურორები თამარ ლალიაშვილი და ვარლამ წერეთელი.


ანზორ ბალაშვილმა მოკლედ მიმოიხილა ის ძირითადი ბრალდებები, რომელიც წაყენებულ იქნა ვახტანგ (ლოთი) ქობალიას მიმართ. აღნიშნა, რომ არცერთი ბრალდება უსაფუძვლოდ არ ყოფილა წაყენებული და დაამატა, რომ „ეს საგამომძიებლო საქმე უპრეცედენტოა და სამარცხვინო ფურცელია საქართველოს ისტორიაში“. მისივე განცხადებით, არის მკვლელობა იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში მიწოდებულ იქნას ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ საქართველოში ასამართლებენ ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრებს და ეს სასამართლო პროცესიც იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ვახტანგ ქობალიასა და მის ჯგუფს ჩადენილი აქვთ პერსონალური დანაშაული, რომელზეც ვერაფრით ვერ დახუჭავს თვალს ვერანაირი საერთაშორისო ორგანიზაცია.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რატომ არ მოუსმინა სასამართლომ ოთხმოც მოწმეს, რომელნიც ქობალიამ დაასახელა, პროკურორმა ვარლამ წერეთელმა უპასუხა, რომ „ამ მოწმეთა დაკითხვა პროცესს არაფერ ახ-

ალს არ შესძენდა“. შსს მინისტრის მოადგილემ უხერხული ღიმილით დაადასტურა ჟურნალისტთა დაკავების ფაქტი, რომელსაც სასამართლო პროცესის დამთავრების შემდგომ ჰქონდა აღდილი და დაამატა, რომ თურმე პრესის და ტელევიზიის წარმომადგენლები უცნებურო სიტყვებს ხმარობდნენ პოლიციელთა მისამართით, თუმცა არც ის უარყო, რომ ადრესატებიც არ რჩებოდნენ ვაღში. მოკლედ, ექსცესი, რომელიც პროცესის დამთავრების შემდგომ მოხდა, ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება სამართალდამცავი ორგანოების მიერ. რაც შეეხება იმას, რომ სასიკვდილო განაჩენის აღსრულება შეჩერებულია, ჯამლეთ ბაბილაშვილმა განაცხადა, რომ ჯერ არ არის პრეზიდენტის პოზიცია გარკვეული ამ საკითხთან დაკავშირებით და „უნდა დაველოდოთ პრეზიდენტის პოზიციას“. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში არსებობს შეწყალების ინსტიტუტი.

ასე რომ, გააჩენი გამოჩანილია და საბოლოოა იგი თუ არა, იცის მხოლოდ პრეზიდენტმა.

ანა ჯუღელი



**У НАС
ЕСТЬ
ПРИКАЗ**

მოსალოდნელია ელზარდ შავარდნაძისა და ზედიზან იანდარბიძის შეხვედრა

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა საქართველოს პრეზიდენტის ელზარდ შავარდნაძისა და ჩეჩნეთის პრეზიდენტის ზედიზან იანდარბიძის შესაძლო შეხვედრის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, სააგენტოს კორესპონდენტი დაუკავშირდა კომპეტენტურ წყაროს საქ. პრეზიდენტის აპარატში, რომელმაც განუცხადა, რომ ამგვარი შეხვედრა, პრინციპში, შესაძლებელია ჩეჩნეთში არჩევნების ჩატარების შემდეგ იმ პირობით, თუ დარეგულირდება ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთს შორის.

იბარია

«თავისუფლება პოლიტიკატიმრებს»

გუშინ სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების მიერ გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რუსეთის იმპერია იყენებს ხუნტის მეშვეობით ხელისუფლებას, რომელმაც კანონიერი ხელიუფლების მიერ გაუქმებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს სტატუსი აღუდგინა, 10 ნოემბრის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს კი, შეგნებულად არ დაუპირისპირა სამართლებრივი ქმედება, რითაც სამაჩაბლო საქართველოს იურისდიქციის მიღმა დააფიქსირა.

ითქვა ასევე, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება აფხაზეთის საპარლამენტო არჩევნებს ვერ უპირისპირებს სამართლებრივ ქმედებებს, რადგან თავდაცვ უკანონოა და არ გააჩნია წინააღმდეგობის გაწვევის სამართლებრივი მექანიზმი. საზოგადოების წევრთა აზრით, პლემბისციტი არ არის იურიდიული აქტი, რომელიც შეიძლება დაუპირისპირდეს არაკანონიერ არჩევნებს. წმინდა ილია მართლის საზოგადოება აცხადებს, რომ აფხაზეთში და სამაჩაბლოში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ 1991 წლის კონსტიტუციის და დევნილი კანონიერი ხელისუფლების აღდგენით.

პოლიტიკატიმრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ უზენაეს სასამართლოში მათი პროცესები საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით მიმდინარეობს. 19 ნოემბერს, ლქობალიას, ჯბოკუჩავას, ზძიძიგურისა და ნმოლოდინაშვილის საბოლოო განაჩენი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს არსებული რეჟიმის ანტიკომანურობას. საზოგადოების კატეგორიული მოთხოვნაა პოლიტიკატიმრების, სამხედრო ტყვეების და სინდისის ტუსადების გათავისუფლება.

იზრინდა

ქართული მოსახლეობა ტოვებს ვაღის რაიონის ტერიტორიას

საბაბნტო „იბერიის“ კორესპონდენტს ზუგდიდის გამგეობიდან აცნობეს, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 23 ნოემბერს აფხაზი სეპარატისტების მიერ დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით, ვაღის რაიონიდან ზუგდიდის რაიონში მასობრივად გადმოვიდა ვაღის რაიონის ქართველი მაცხოვრებლები, განსაკუთრებით ჩრდილოეთის ზონის ქართული სოფლებიდან, რომელთაც არ სურთ მონაწილეობის მიღება აფხაზეთის ე.წ. საპარლამენტო არჩევნებში და შიშობენ, რომ ამის გამო თავს სეპარატისტთა რისხვა დაატყვევებთ.

სულ ზუგდიდის რაიონში ბოლო დღეებში 6.000-მდე ქართველი მტკიცებით გადმოვიდა, განსაკუთრებით მამაკაცები.

«მრგვალი მაგიდა» დაბოლოდა

ხელისუფლების მიერ დანიშნული არჩევნების შედეგების განხილვის შედეგად

პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეებს აერთიანებს, დაგმო საქართველოს ხელისუფლების მიერ დანიშნული პლემბისციტი. „მრგვალი მაგიდას“ ლიდერთა აზრით, ამგვარი პლემბისციტი არის სეპარატისტთა მიერ დანიშნული არჩევნების ირიბი ლეგიტიმაცია. „მრგვალი მაგიდა“ მოითხოვს აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამოცხადებას.

იბარია

მიმდინარეობს კონსულტაციები ელზარდ შავარდნაძესა და ვლადისლავ არქონბას შორის შესაძლო შეხვედრის თაობაზე

საპარლამენტოს ხელისუფლებასა და აფხაზ სეპარატისტთა ლიდერებს შორის ამ უკანასკნელთა თხოვნით მიმდინარეობს კონსულტაციები საქართველოს პრეზიდენტის ელზარდ შავარდნაძისა და სეპარატისტთა ლიდერის ვლადისლავ არქონბას შესაძლო შეხვედრის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტი ელზარდ შავარდნაძე ჯერჯერობით წინააღმდეგია შეხვედრის ვლადისლავ არქონბას, ვინაიდან არ არის დარწმუნებული, რომ ამგვარი შეხვედრა კონკრეტულ შედეგს გამოიღებს აფხაზეთში მტკიცებით დაბრუნებისა და საქ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით.

23 ნოემბრის შემდეგ მოსალოდნელია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ან საქ. საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენდღარიშვილის ვიზიტი სოხუმში.

იბარია

მედიკოსებს არც ერთი წარმოადგენელი არ მიიღებს მოსახლეობას

აფხაზეთში ე.წ. არჩევნებზე დასასწრებად მიწვევა

საქართველოს საპარლამენტო სათათბიროს სხვა წევრები

აფხაზ სეპარატისტთა მიერ შექმნილი ე.წ. საარჩევნო კომისიამ, 23 ნოემბერს აფხაზეთში დანიშნულ ე.წ. არჩევნებზე დასასწრებად მიიწვია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე სერგეი ბაბურინი და სახელმწიფო სათათბიროს სხვა წევრები, რომლებიც თანაუგრძობენ აფხაზ სეპარატისტებს.

იბარია

